



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

**სასაკლაოების, ელევატორებისა და
სამცხივრე მუხრნობების გამოკვლევის
ძირითადი შედეგები**

2021

III კვარტალი



17.11.2021

www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


17.11.2021

სასაკლაოების, ელვპატორებისა და სამაცივრე მეურნეობების გამოკვლევის ძირითადი შედეგები (2021 წლის III კვარტალი)

სასაკლაოები

2021 წლის III კვარტალში საქართველოში 108 ერთეული ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაო ფუნქციონირებდა, მათგან 20.4 პროცენტი მდებარეობს ქვემო ქართლის რეგიონში, 17.6 პროცენტი - კახეთის რეგიონში, 13.0 პროცენტი - შიდა ქართლის რეგიონში, 13.0 პროცენტი - იმერეთის რეგიონში, 11.1 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, ხოლო დანარჩენი 25.0 პროცენტი - სხვა რეგიონებშია განთავსებული:

საქართველოში მოქმედი ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაოები რეგიონების მიხედვით, 2021 წლის III კვარტალი



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

17.11.2021

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2021 წლის III კვარტალში სასაკლაოებში დაიკლა 81.3 ათასი სული პირუტყვი, საიდანაც 36.0 პროცენტი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 38.7 პროცენტი - ღორი, ხოლო 10.3 პროცენტი ცხვარი და თხა იყო. დანარჩენი პირუტყვის წილი (არ მოიცავს ფრინველს) 15.0 პროცენტს შეადგენს. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლული ფრინველის რაოდენობა 2 691.0 ათასი ერთეულით განისაზღვრა.

სასაკლაოების მიერ 2021 წლის III კვარტალში 9 563.7 ტონა ხორცი იქნა წარმოებული (იგულისხმება დაკლული წონა, ფრინველის ხორცის ჩათვლით), საიდანაც 33.4 პროცენტი მოდის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, 41.7 პროცენტი - ფრინველის ხორცზე, 23.4 პროცენტი - ღორის ხორცზე, 1.3 პროცენტი - ცხვრისა და თხის ხორცზე, ხოლო დანარჩენს უმნიშვნელო წილი უკავია.

საანგარიშო პერიოდში მომსახურება გაენია 9.5 ათას პირს, საიდანაც 31.2 პროცენტი შინამეურნეობების (ოჯახური მეურნეობები) სახით იყვნენ წარმოდგენილნი. სასაკლაოებში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა რაოდენობამ 976 კაცი შეადგინა.

ერთეული პირუტყვის დაკვლაზე მომსახურების საშუალო ფასი შეადგენს: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაკვლის საფასური - 30.4 ლარი, ცხვრის ან თხის დაკვლის საფასური - 12.2 ლარი, ხოლო ღორის დაკვლის საფასური - 26.6 ლარი.


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

17.11.2021

სამაცივრე მეურნეობები

2021 წლის III კვარტალში საქართველოში 157 ერთეული სამაცივრე მეურნეობა ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც (57.3 პროცენტი) შიდა ქართლის რეგიონშია განთავსებული. მოქმედი სამაცივრე მეურნეობები ასევე განთავსებულია კახეთის რეგიონში (14.6 პროცენტი), ქ. თბილისში (8.3 პროცენტი), ქვემო ქართლის რეგიონში (5.7 პროცენტი), აჭარის ა.რ.-ში (5.1 პროცენტი), სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (3.8 პროცენტი), იმერეთის რეგიონში (2.5 პროცენტი), მცხეთა-მთიანეთის რეგიონში (1.3 პროცენტი) და გურიის რეგიონში (1.3 პროცენტი):

საქართველოში მოქმედი სამაცივრე მეურნეობები რეგიონების მიხედვით, 2021 წლის III კვარტალი




საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

17.11.2021

2021 წლის III კვარტალში მომსახურება გაენია 364 მომხმარებელს. მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია შემდგომი რეალიზაციის მიზნით - 252 ერთეული შეადგინა, ხოლო სამაცივრეებში დასაქმებულთა საშუალოთვიური რაოდენობა 1 404 კაცით განისაზღვრა.

2021 წლის III კვარტლის განმავლობაში მაცივრეებში შენახული (განთავსებული) იყო 62.2 ათასი ტონა პროდუქცია, მათ შორის 51.2 პროცენტი ქათმის ხორცი (გაყინულის ჩათვლით), 30.5 პროცენტი ხილი და ბოსტნეული, 9.6 პროცენტი ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით), 5.3 პროცენტი თევზი, ხოლო დანარჩენ პროდუქციას უმნიშვნელო წილი ჰქონდა:

მაცივრეებში შენახული პროდუქტების სტრუქტურა, 2021 წლის III კვარტალი



2021 წლის III კვარტალში სამაცივრე მეურნეობებში შენახული პროდუქციის მთლიანი მოცულობიდან 11.9 პროცენტს საკუთარი წარმოების პროდუქცია, 12.4 პროცენტს შემდგომი რეალიზაციის მიზნით შესყიდული პროდუქციის მოცულობა, ხოლო 75.7 პროცენტს მომსახურების სახით შენახული პროდუქციის მოცულობა შეადგენდა. ამავე პერიოდში, მომსახურების სახით მიღებულმა შემოსავალმა 6.5 მლნ. ლარი შეადგინა.

2021 წლის III კვარტალში სამაცივრე მეურნეობების მიერ გაყიდულია 62.9 მლნ. ლარის ღირებულების (12.1 ათასი ტონა) პროდუქცია, საიდანაც, ღირებულებით გამოსახულებაში,

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

17.11.2021

იმპორტირებულმა პროდუქციამ შეადგინა 31.8 პროცენტი, საკუთარი წარმოების პროდუქციამ - 40.0 პროცენტი, ხოლო შესყიდულმა (ადგილობრივი) პროდუქციამ - 28.2 პროცენტი. ამასთან, საანგარიშო პერიოდში, სამაცივრების მიერ გაყიდული საკუთარი წარმოების პროდუქციის მთლიანი მოცულობის 84.8 პროცენტი მოდიოდა ქათმის ხორცზე. იმპორტირებული პროდუქციის მნიშვნელოვან მოცულობას ქათმის ხორცი (გაყინულის ჩათვლით) (42.8 პროცენტი), თევზეული (25.1 პროცენტი), პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით) (23.0 პროცენტი) წარმოადგენდა.

საანგარიშო პერიოდში, სამაცივრე მეურნეობების მიერ საზღვარგარეთის ქვეყნებში გაყიდული პროდუქციის ღირებულებამ 5.5 მლნ. ლარი შეადგინა, რაც ამავე პერიოდში გაყიდული პროდუქციის მთლიანი ღირებულების 8.7 პროცენტს შეადგენს. ძირითადად რეალიზებულია თევზეული, ქათმის ხორცი, ხილი და ბოსტნეული.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, კამერების საშუალო დღიური დატვირთვა (პროცენტულად კამერების ჯამური ტევადობიდან) ივლისში შეადგენდა 63.6 პროცენტს, აგვისტოში - 60.6 პროცენტს, ხოლო სექტემბერში - 53.6 პროცენტს.


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

17.11.2021

ელევატორები

2021 წლის III კვარტალში საქართველოში 50 ელევატორი ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც კახეთის (48.0 პროცენტი) რეგიონში იყო განთავსებული. ელევატორების 22.0 პროცენტი ფუნქციონირებს ქვემო ქართლის რეგიონში, 14.0 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, 8.0 პროცენტი - შიდა ქართლის რეგიონში, 4.0 პროცენტი - ქ. თბილისში, 2.0 პროცენტი იმერეთის რეგიონში და 2.0 პროცენტი გურიის რეგიონში:

საქართველოში მოქმედი ელევატორები რეგიონების მიხედვით, 2021 წლის III კვარტალი



2021 წლის III კვარტლის განმავლობაში მომსახურება გაეწია 20 მომხმარებელს. მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია შემდგომი რეალიზაციის მიზნით - 140 ერთეული შეადგინა, ხოლო ელევატორებში დასაქმებულთა საშუალოთვიური რაოდენობა 732 კაცით განისაზღვრა.

2021 წლის III კვარტალში, ელევატორებში შენახული (განთავსებული) იყო 106.3 ათასი ტონა პროდუქცია, რომლის 83.0 პროცენტს წარმოადგენდა ხორბალი. საანგარიშო პერიოდში,

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

17.11.2021

ელევატორებში განთავსებული პროდუქციის მთლიანი მოცულობის 89.9 პროცენტს ელევატორების მიერ შემდგომი რეალიზაციის მიზნით შესყიდული პროდუქცია შეადგენდა.

2021 წლის III კვარტალში, ელევატორების მიერ გაყიდულია 69.5 მლნ. ლარის ღირებულების 70.4 ათასი ტონა პროდუქცია, საიდანაც 75.0 პროცენტი იყო საკუთარი წარმოების.

ელევატორების მიერ საკუთარი წარმოების პროდუქციაში, როგორც მოცულობის, ისე ღირებულების მიხედვით, ჭარბობდა ხორბლის ფქვილი, რომელზეც მოდიოდა ელევატორების მიერ გაყიდული საკუთარი წარმოების პროდუქციის 80.5 პროცენტი.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ელევატორების საცავების საშუალო დღიური დატვირთვა (პროცენტულად საცავების ჯამური ტევადობიდან) ივლისში შეადგენდა 40.2 პროცენტს, აგვისტოში - 39.8 პროცენტს, ხოლო სექტემბერში - 36.6 პროცენტს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

ალექსანდრე არაბული, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: aarabuli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge